საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტო

LEPL MARITIME TRANSPORT
AGENCY

KA020197327483820

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საქართველო, ქ.ბათუმი, 6000, ბაქოს ქუჩა N50. ტელ.:+995 422 27 49 25/26
50 Baku Str., 6000, Batumi, Georgia. Tel.:+995 422 27 49 25/26

№ 6/CIRC/MSD **02 / მარტი / 2020 წ.**

გემის მფლობელებს, მენეჯერებს, ოპერატორებს,
კაპიტნებს, ეკიპაჟის წევრებს, ყველა მოქმედ საზღვაო
სააგენტოებს,სალოცმანო კომპანიებს,
ყველა დაინტერესებულ მხარეებს

შინაარსი: საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში შემომავალი გემების COVID-19 კორონავირუსთან დაკავშირებული უსაფრთხოების რეკომენდაციები

საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში შემომსვლელმა ყველა გემმა უნდა წარმოადგინონ მინიმუმ 24 საათით ადრე MARITIME DECLARATION OF HEALTH დანართებით: ATTACHMENT TO MARITIME DECLARATION OF HEALTH FOR **CREW AND PASSANGERS.**
აღნიშნული დოკუმენტის მოწოდების შემდგომ, ნავსადგურში, საღუზე რაიონში ან რეიდზე დგომისას ახალი საეჭვო გარემოების გაჩენის შემთხვევაში, გემის კაპიტანი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნული ფაქტის შესახებ ნავსადგურის კაპიტანს და შესაბამის სამსახურებს.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ასევე სკრინინგის მეშვეობით დადასტურებული COVID-19 კორონავირუსის დადგენის შემთხვევაში, მაქსიმალურად შეიზღუდოს კონტაქტი მცურავ საშუალებასთან, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად.

საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში, მოქმედი სალოცმანო კომპანიების ლოცმანები, ვალდებული არიან გემზე ასვლისას გამოიყენონ პირადი დაცვის საშუალებები, კერძოდ: პირბადე, ერთჯერადი ხელთათმანები და უსაფრთხო სათვალე.

თუ გემი, მისი ეკიპაჟის წევრი (ები) ან მგზავრები ბოლო 21 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ რისკ ჯგუფის ქვეყნებში (ჩინეთი, ირანი, სამხრეთ კორეა, იტალია), ისინი დაექვემდებარონ სსიპ „შემოსავლების სამსახური“-ს საბაჟო დეპარტამენტის სპეციალურ სამსახურის თერმოსკრინინგს და საჭიროების შემთხვევაში მათ მიმართ შეივსება მგზავრის სააღრიცხვო ბარათი. აღნიშნული საფრთხის მქონე ქვეყნებიდან მოსული გემების ეკიპაჟის წევრების მიმართ, უნდა შეიზღუდოს საზღვრის გახსნა.

იმ გემების მიმართ, რომლებიც დგებიან უნავმისადგომო ნავმისადგომებთან (SPM & SBM) და აღნიშნული გემები მოემართებიან რისკ ჯგუფის ქვეყნებიდან (ჩინეთი, ირანი, სამხრეთ კორეა,იტალია) სპეციალური საკარანტინო შემოწმება უნდა ჩატარდეს საზღვაო ნავსადგურის უნავმისადგომო ნავმისადგომზე. შემოწმების დასრულებამდე, იკრძალება ნებისმიერი კერძო თუ სახელმწიფო სამსახურების თანამშრომლების გემზე ასვლა.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ იოსელიანი